

USERS
MANUAL

 **IMMERGAS**

**მომხმარებლის ინსტრუქცია
მონტაჟი და
უსაფრთხოების წესები**

**MINI EOLO
28 3E**

1.038767GEO



ძვირფასო მომხმარებელო,

გილოცავთ Immergas-ის უმაღლესი ხარისხის პროდუქტის შეძენას!

ყურადღებით წაიკითხეთ ეს ინსტრუქცია. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის დახმარებით თქვენ გაიგებთ თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ეს მოწყობილობა და ასევე უზრუნველყოთ მისი კომფორტული და უსაფრთხო ექსპლუატაცია მრავალი წლის განმავლობაში.

ნებისმიერი ტექნიკური დახმარებისა და გეგმიური სერვისულ-სადიაგნოსტიკო სამუშაოების ჩასატარებლად ყოველთვის მიმართეთ მხოლოდ ავტორიზებულ სერვის ცენტრს. მხოლოდ აქ შეძლებთ გარანტირებულად მიიღოთ კვალიფიციური დახმარება და ორიგინალური სათადარიგო ნაწილები.

უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი რეკომენდაციები

ყველა ჩვენი პროდუქცია დაცულია სათანადო სატრანსპორტო შეფუთვით.

ყუთი უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას და დაცული იყოს ატმოსფერული ნალექებისგან.

მომხმარებლის ინსტრუქცია პროდუქტის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია, ქვაბის გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში ეს ინსტრუქცია აუცილებლად უნდა გადაეცეს ახალ მომხმარებელს.

შეინახეთ ეს ინსტრუქცია და აუცილებლად წაიკითხეთ ყურადღებით, რადგან ის მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან გაფრთხილებას, რაც უზრუნველყოფს მოწყობილობის უსაფრთხო მონტაჟს და შემდგომ ექსპლუატაციას.

ეს მომხმარებლის ინსტრუქცია სრულად მოიცავს ქვაბის მონტაჟთან დაკავშირებულ ინფორმაციას. რაც შეეხება საქვაბის მონტაჟთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მაგალითად, ბუნებრივ აირთან მუშაობის უსაფრთხოების წესებს, გარემოს დაცვის საკითხებს, ზოგადად შრომის უსაფრთხოების მომებს), აუცილებელია დაიცვათ ქვეყანაში სათანადო რეგულაციებით განსაზღვრული წესები.

მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას ბეჭდის ან ტრანსკრიფციის შეცდომების გამო, იტოვებს უფლებას საკუთარი ტექნიკური და სამრეწველო ანგარიშით შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

სარჩევი

მონტაჟი გვერდი

1	გათბობის ქვების მონტაჟი.....	5
1.1	მონტაჟთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	5
1.2	პირითადი ზომები.....	6
1.3	ანტიგაყინვის სისტემა.....	6
1.4	ქვების შემაერთებელი კვანძი.....	7
1.5	დისტანციური მართვა და ოთახის ქრონოთერმოსტატები (დამატებითი).....	8
1.6	გარე ზონდი (დამატებითი).....	8
1.7	Immergas-ის საკვამლე მილები.....	9
1.8	მონტაჟი შენობის გარეთ, ნაწილობრივ დაცულ სივცეში.....	9
1.9	მონტაჟი შენობის შიგნით.....	12
1.10	აირის გამოსაშვები ჰაერსარიში/კვამლსადენში	16
1.11	აირსატარის მილები.....	16
1.12	აირსატარები, კვამლსადენები და კვამლსადენების ხუფები.....	16
1.13	სისტემის შევსება.....	16
1.14	აირის სისტემის გაშვება.....	16
1.15	ბოილერის გაშვება (ანთება) ..	16
1.16	საცირკულაციო ტუმბო.....	16
1.17	დამატებითი კომპლექტები ...	17
1.18	ბოილერის კომპონენტები	18

ექსპლუატაცია გვერდი.

2	ექსპლუატაციის და ტექნიკური მომსახურების წესები.....	19
2.1	განმეხდა და მოვლა.....	19
2.2	ზოგადი გაფრთხილებები.....	19
2.3	მართვის პანელი.....	19
2.4	ქვების ექსპლუატაცია.....	20
2.5	გაუმართაობების აღმოფხვრა.....	20
2.6	ბოილერის გამორთვა.....	21
2.7	ცენტრალური გათბობის სისტემის წნევის აღდგენა.....	21
2.8	სისტემის დრენაჟი.....	21
2.9	ანტიფრიზით დაცვა.....	21
2.10	კორპუსის განმეხდა.....	21
2.11	ექსპლუატაციიდან გამოყვანა.....	21

ტექნიკური მომსახურება გვერდი

3	ქვების გაშვება (საწყისი შემოწმება).....	22
3.1	ჰიდრაულიკური სქემა.....	22
3.2	ელექტრული სქემა.....	23
3.3	გაუმართაობების აღმოფხვრა.....	23
3.4	საინფორმაციო მენიუ.....	24
3.5	მართვის პლანის დაპროგრამება.....	24
3.6	ქვების გარდაქმნა სხვა ტიპის აირებისთვის.....	25
3.7	სხვა ტიპის აირისთვის გარდაქმნის შემდგომი შემოწმებები.....	25
3.8	შესაძლო დარეგულირებები.....	26
3.9	ანთების ავტომატური დაყოვნების ფუნქცია.....	26
3.10	„კვამლსადენის განმეხდას“ ფუნქცია.....	26
3.11	ტუმბოს დაბლოკვისგან დამცავი ფუნქცია.....	26
3.12	სამსვლიანი კვანძის დაბლოკვისგან დამცავი ფუნქცია.....	26
3.13	ანტიგაყინვის ფუნქცია.....	26
3.14	მართვის ბლოკის პერიოდული თვითდიაგნოსტიკის ფუნქცია.....	26
3.15	მზის კოლექტორებთან შეერთების ფუნქცია.....	26
3.16	გარსაცმის დემონტაჟი.....	27
3.17	ყოველწლიური შემოწმება და ტექნიკური მომსახურება.....	29
3.18	ცვლადი თბური წარმადობა.....	29
3.19	წვის პარამეტრები.....	30
3.20	ტექნიკური მონაცემები.....	30

1 გათბობის ქვების მონტაჟი

1.1. მოტაჟთან დაკავშირებული რეკომენდაციები

MINI EOLO 28 3 E ბოილერი განკუთვნილია კედელზე დასამონტაჟებლად და უზრუნველყოფს სივრცის გათბობას და სანიტარული ცხელი წყლით მომარაგებას.

მოწყობილობის დამონტაჟების ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს:

- მონტაჟი (ტექნიკური კანონმდებლობისა და ქვეყნის ტექნიკური რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად);
- სერვისული მომსახურების, შეკეთების შესაძლებლობა;
- დემონაჟის შესაძლებლობა და სხვა ანალოგიური მოწყობილობით ჩანაცვლება კედლის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, ყოველგვარი ბზარების გარეშე. ქვაბი არ არის იატაკზე დასამონტაჟებლად (ნახ. 1-1).

მონტაჟის ტიპის მიხედვით, არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაციის ბოილერები, კერძოდ:

- **B₂₂ ტიპის ქვაბი**, რომელიც წარმოადგენს ქვაბს ე.წ. ღია წვის კამერით და რომელიც იღებს ჰაერს იმავე სათავსოდან სადაც არის დამონტაჟებული.
- **C ტიპის ქვაბი** — რომელიც წარმოადგენს ქვაბს ე.წ. დახურული წვის კამერით, რომელსაც სპეციალური კონცენტრული საკვამლე მილის საშუალებით შემოაქვს ჰაერი გარედან და ნაწილი გააქვს გარეთ.

მხოლოდ პროფესიულად ავტორიზებულ კომპანიას აქვს უფლებამოსილება განახორციელოს იმერგასის გაზის მოწყობილობების მონტაჟი.

მონტაჟი უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ადგილობრივი ტექნიკური ნორმების და პროცედურების დაცვით.

მოწყობილობის დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ გათბობის ქვაბი და მისი ყველა მაკომპლექტებული ნაწილი წესრიგშია. ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მომწოდებელს. შესაფუთი მასალები

(კლიფსები, ლურსმნები, პლასტიკური პაკეტები, პენოპოლისტიროლი და ა.შ.) სახიფათოა და უნდა შეინახოს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. თუ მოწყობილობა დამონტაჟებულია შიგნით ან სამზარეულოს კარადებს შორის, უნდა უზრუნველყოთ საკმარისი სივრცე თავისუფალი წვდომისთვის, მომავალი მომსახურებისთვის; რეკომენდებულია დატოვოთ ქვაბის ზედა ნაწილსა და ჭერის ზედაპირს შორის მინიმუმ 45 სმ და ქვაბის კორპუსსა და კარადის ვერტიკალურ მხარეს შორის მინიმუმ 3 სანტიმეტრი. შეინახეთ აალებადი საგნები მოწყობილობიდან მოშორებით (ქაღალდი, ქსოვილები, პლასტმასი, პოლისტიროლი და ა.შ.)

ნუ განათავსებთ საყოფაცხოვრებო ტექნიკას ქვაბის ქვემოთ, რადგან იგი შეიძლება დაზიანდეს დამცავი სარქველის ამოქმედების შემთხვევაში (თუ არ გამოიყენება სადრენაჟო ძაბრი) ან ჰიდრაულიკური შეერთებებიდან გაჟონვის შემთხვევაში; ამ შემთხვევაში მწარმოებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე მიყენებული ზიანის გამო. ზემოხსენებული მიზეზების გამო, ჩვენ არ გირჩევთ ავეჯის და ა.შ. ქვაბის ქვემოთ დადგას

გაუმართავი მუშაობის შემთხვევაში, გამორთეთ მოწყობილობა და დაუკავშირდით ავტორიზებულ კომპანიას (მაგ. ტექნიკური დახმარების ცენტრს, რომელსაც ჰყავს სპეციალურად მომზადებული პერსონალი და აქვს ორიგინალი სათადარიგო ნაწილები). არ შეეცადოთ ინდივიდუალურად შეცვალოთ ან შეაკეთოთ მოწყობილობა. ზემოთ აღნიშნული წესის დაუცველობა იწვევს პირად პასუხისმგებლობას და აბათილებს გარანტიას.

• მონტაჟის სტანდარტები:

- ეს ქვაბი შეიძლება დამონტაჟდეს გარეთ, ნაწილობრივ დაცულ ტერიტორიაზე. ნაწილობრივ დაცული ტერიტორია არის ისეთი, სადაც ქვაბი არ არის ამინდის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ (წვიმა, თოვლი, სეტყვა და სხვ.).

შენიშვნა: ამ ტიპის მონტაჟი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დაშვებულია იმ ქვეყნის შესაბამის რეგულაციებში სადაც გამოიყენება აღნიშნული ქვაბი


- ბუნებრივი აირის მოწყობილობების საკვამლე მილებისა და ატმოსფერული ჰაერის ნაკადის მილების მონტაჟი აკრძალულია ხანძრის რისკის შემცველ

(მაგალითად: ავტოფარეხები, დახურული პარკირების სადგომები) და პოტენციურად სახიფათო ადგილებში.

- მონტაჟი აკრძალულია სამზარეულოს ზედაპირის ვერტიკალურ განმტოებაზე.
- მონტაჟი აკრძალულია იმ ადგილებში / ოთახებში, რომელიც წარმოადგენს კორპუსის საჯარო ნაწილს, შიდა კიბეებს ან სხვა ავარიული გასასვლელის კიბეებს (მაგ. სადარბაზო, შესასვლელი და სხვ.)
- მონტაჟი ასევე აკრძალულია საცხოვრებელი ადგილის შენობა-ნაგებობების ისეთ ნაწილში როგორცაა სარდაფები, შესასვლელი დარბაზები, სხვენი, ლიფტი და ა.შ., თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი რეგულაციებით.

ყურადღება: ქვაბის კედელზე დამონტაჟების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მყარი და ეფექტური საყრდენი.

სამაგრები (სტანდარტული კომპლექტი) გამოიყენება მხოლოდ სამაგრ შაბლონებთან ერთად კედელზე ქვაბის დასამაგრებლად; ეს სამაგრები უზრუნველყოფს სათანადო საყრდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოიყენება (ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად) მყარი ან ნახევრად აკუსტიკური აგურისგან ან ბლოკისგან აშენებულ კედლებში. აკუსტიკური აგურისგან ან ბლოკისგან აშენებული კედლების, შეზღუდული სტატიკური თვისებების მქონე ტიხრების ან სხვა ტიპის კედლების



1.2 ძირითადი ზომები

განმარტება:
 G - აირის მიწოდება
 AC - სანიტარული დანიშნულების ცხელი წყლის გამოსავალი
 ACV - (დამატებითი შეერთება)
 AF -სანიტარული დანიშნულების ცივი წყლის შემშვები
 R - სისტემის უკუმაგისტრალი
 M - სისტემის მიწოდების მაგისტრალი
 V - ელექტრული კონტაქტი

სიმაღლე (მმ)	სიგანე (მმ)	სიღრმე (მმ)		
781	440	340		
შეერთებები				
აირი	საყოფაცხოვრებო წყალი	გათბობა		
G	AC	AF	R	M
3/4"	1/2"	1/2"	3/4"	3/4"

1.3. ანტიგაყინვის სიტემა

მინიმალური ტემპერატურა -5°C.
 გათბობის ქვაბი სტანდარტულ კომპლექტაციაში დაკომპლექტებულია ანტიგაყინვის სისტემით, რომელიც ავტომატურად რთავს ტუმბოს და სანთურას თუ წყლის ტემპერატურა დაეცა 4°C ქვემოთ. ამ დროს ქვაბი დასულია გაყინვისგან გარემოს ტემპერატურის -5°C მდე.

მინიმალური ტემპერატურა -15°C. თუ ქვაბი დამონტაჟებულია ისეთ ადგილას სადაც ტემპერატურა -5°C დაბალია, ამ შემთხვევაში ქვაბი შესაძლებელია გაყინოს.

გაყინვის რისკის თავიდან ასაცილებლად უნდა ჩატარდეს შემდეგი პროცედურები:
მინიმალური ტემპერატურა -15°C.
 მინიმალური ტემპერატურა -15 ° C. თუ ქვაბი დამონტაჟებულია იმ ადგილას, სადაც ტემპერატურა -5 ° C -ზე მეტად მცირდება, მონყობილობა შესაძლოა გაყინოს.

გაყინვის რისკის თავიდან ასაცილებლად შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუქცია:
 - გათბობის წრედში გამოიყენეთ სათანადო ხარისხის ანტიფრიზის ნაზავი. ანტიფრიზი უნდა იყოს მხოლოდ ქვაბებში ჩასასხმელად განკუთვნილი და უნდა ჰქონდეს მწარმოებლის გარანტია რომ ის არ დააზიანებს ქვაბის თბომცვლელს ან ნებისმიერ სხვა კომპონენტს. ანტიფრიზის სითხე არ უნდა იყოს საზიანო ჯანმრთელობისთვის. ყურადღებით გაეცანი ანტიფრიზის მწარმოებლის ინსტრუქციას რათა სწორად შეარჩიოთ ხსნარის კონცენტრაცია. წყალხსნარი უნდა გაკეთდეს პოტენციური დაბინძურების წყლის მე-2 დონის მიხედვით (EN 1717: 2002 ან არსებული ადგილობრივი

სტანდარტების მიხედვით).

გაფრთხილება: გლიკოლის ზედმეტმა გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონყობილობის სათანადო ფუნქციონირებას.

იმერგაზის ქვაბების ცენტრალური გათბობის სისტემისთვის გამოყენებული მასალები, უძლებს ეთილენისა და პროპილენის გლიკოლის ანტიფრიზის სითხეებს (თუ ნაზავი კარგად მზადდება).

უტილიზაციის ნესი აღწერილია მწარმოებლის ინსტრუქციაში.

- უზრუნველყავით საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის კონტურის დაცვა გაყინვისგან სპეციალური დამხმარე მონყობილობის გამოყენებით, რომელიც მოგვნივთებთ მოთხოვნისამებრ (ანტიმომყინავის კომპლექტი); ეს კომპლექტი შედგება ორი თერმული ელემენტისგან, შესაბამისი კაბელებისგან და საკონტროლო თერმოსტატისგან (ყურადღებით ნაიკითხეთ მონტაჟის ინსტრუქცია, რომელიც მოგვნივთებთ დამხმარე მონყობილობასთან ერთად).

ასეთ პირობებში ბოილერი დაცულია ანტიმომყინავით ტემპერატურამდე -5°C.

ქვაბის ანტიფრიზით დაცვა (ორივე -5 ° C და -15 ° C) უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ბოილერი სწორად არის მიერთებული აირთან და ელექტროკვების წყაროს წრედებთან;
- ბოილერს მუდმივად მიეწოდება ელექტროენერგია;
- ქვაბი არ არის ლოდინის რეჟიმში (⏻);

- ქვაბი არ არის ანთმალურ პირობებში (პარაგ. 2.4);
- ქვაბის ან / და ანტიფრიზის ნაკრების ძირითადი კომპონენტები არ არის გაუმართავი.

1.4. ქვაბის შემავრთველი კვანძი

ჩვენი ბოილერები გათვალისწინებულია მეთანის აირზე (G20) ან გათხევადებულ ნახშირწყალბადიან აირზე სამუშაოდ. შემავრთველი მილების დიამეტრები და ფასონური ნაწილების ზომები შესაბამისობაში უნდა იყოს ქვაბის შემავრთველი კვანძის მისაერთებელ ზომებთან.

გაზის მიერთებამდე კარგად განმინდეთ სანავაის მიწოდების მილები შიგნიდან და მოაცილეთ ჭუჭყი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბოილერის ეფექტურობაზე. აგრეთვე დარწმუნდით, რომ აირის ტიპი შეესაბამება ბოილერისთვის გათვალისწინებულ აირს (იხ. ბოილერის მონაცემთა ფირფიტა). წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებელია ქვაბის გარდაქმნა სპეციალურად ამ ტიპის აირისთვის (იხ. ინფორმაცია გარდაქმნილი მონყობილობის შესახებ სხვა ტიპის აირებისთვის). დინამიური აირის მიწოდების (მეთანი ან გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირი) წნევა აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს წნევას, რომელიც აუცილებელია ქვაბის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მაგისტრალში არასაკმარისმა წნევამ შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს სრულფასოვანი წვა და შესაბამისად ქვაბი ვერ მიაღწევს თავის ნომინალურ სიმძლავრეს.

უზრუნველყავით აირის სარქველის სწორი მიერთება. აირის მიწოდების მილი უნდა იყოს სათანადო ზომის, მოქმედი ნორმების შესაბამისად, რათა გარანტირებული იქნეს აირის სათანადო ნაკადი სანთურაში. გამოყენებული შემავრთველი ფასონური ნაწილები უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში არსებულ სტანდარტებთან და ნორმებთან

სანავაი აირის ხარისხი ქვაბი განკუთვნილია ჭუჭყისაგან/მტვრისგან თავისუფალ აირზე მუშაობისთვის. სასურველია, რომ გამოიყენოთ სპეციალური გაზის ფილტრები სანავაის სისუფთავის უზრუნველსაყოფად.

შემნახველი ავზები (თუ მიწოდება ხდება გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის საცავიდან).

- გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის შემნახველი ავზები შეიძლება შეიცავდეს ნარჩენ ინერტულ აირებს (აზოტი), რომელიც ამცირებს მონყობილობაში მიწოდებული ნარევის ხარისხს და გაუმართაობებს ინვესს.
- გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის შემადგენლობის გამო, ნარევის კომპონენტების დონეები შეიძლება შეიცვალოს ავზში შემნახვის პერიოდში. ამან შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები გათბობის სიმძლავრეში, რომელიც გააჩნია მონყობილობას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს მონყობილობის ეფექტურობის ცვლილება.

ჰიდრავლიური შეერთება

ყურადღება: ქვაბის სისტემასთან მიერთებამდე უნდა დარწმუნდეთ რომ გათბობის სისტემა არის სუფთა, მასში არ არის სხვადასხვა ნალექოვანი წარმონაქმნები, ჟანგი, კალციონირებული მარილები. ასეთების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია სისტემის გამორეცხვა და განმინდა. ამ პრევენციული ზომის არ ჩატარებამ შესაძლოა დააზიანოს ქვაბის თბომცველი . ასეთი დაზიანება არ ითვალისწინებს საგარანტიო პირობების დადგომას და თქვენ დაკარგავთ გარანტიას. დაზიანებული თბომცველი ვერ უზრუნველყოფს ქვაბის გამართულ მუშაობას.

გათბობის წრედისა და სანიტარული წყლის სისტემის მოვლა აუცილებელია ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად, რათა სისტემა დაცული იყოს ნარჩენებისგან (მაგ. ნადები), თხევადი ან სხვა ტიპის სახიფათო ნარჩენებისგან

წყლის სისტემის შეერთებები უნდა განხორციელდეს რაციონალურად. ქვაბის შაბლონზე არსებული ქუროების გამოყენებით. ქვაბის დამცავი სარქველის გამოსვლა სასურველია შეუერთდეს სადრენაჟო მილსადენს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მწარმოებელი უარყოფს ყოველგვარ პასუხისმგებლობას შესაძლო დატბორვაზე დამცავი სარქველის ავარიული ჩართვის შედეგად

ყურადღება: მწარმოებელი იცილებს ნებისმიერ ვალდებულებას ავტომატური შევსების დამონტაჟებით გამონვეული დაზიანების შემთხვევაში.

ყურადღება: მონყობილობის ეფექტური მუშაობის პერიოდის გაზრდის მიზნით, თუ არსებობს წყალი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კირის ნალექის წარმოქმნა, რეკომენდებულია „პოლიფოსფატის დოზატორის“ ნაკრების დამონტაჟება.

ელექტრული შეერთება

MINI EOLO 28 3E ქვაბს გააჩნია IPX5D დაცვის დონე მთლიანი მონყობილობისთვის. დანადგარის ელექტროუსაფრთხოება უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, თუ ის სწორად არის მიერთებული დამინების ეფექტურ სისტემასთან, როგორც გათვალისწინებულია უსაფრთხოების მოქმედი სტანდარტებით.

ყურადღება: მწარმოებელი უარყოფს ყოველგვარ პასუხისმგებლობას ზიანისთვის ან ფიზიკური ტრავმისთვის, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ბოილერი არ იქნა მიერთებული დამინების ელექტურ სისტემასთან, ან თუ არ იქნა დაცული შესაბამისი სტანდარტები.

გარდა ამისა, უზრუნველვყავით ის, რომ ელექტრომონტაჟი შეესაბამებოდეს მაქსიმალური სიმძლავრის საპროექტო კავშირებს, როგორც ნაჩვენებია ბოილერის უსაფრთხოების ფირფიტაზე.

ქვაბი მარაგდება სრული "Y" ტიპის კვების კაბელის გამოყენებით. ელექტროკაბელი უნდა შეუერთოთ 230 ვ ±10%/ 50 ჰც ელექტროწყაროს L-N პოლარობის დაცვით და დამინების გამოყენებით. ასეთ ქსელს აუცილებლად მუდმივად უნდა ჰქონდეს მაღალი ძაბვისგან დამცავი III კატეგორიის მრავალპოლარული წრედის გამოთბი. ელექტროკაბელის გამოცვლის დროს მიმართეთ კვალიფიციურ ფირმას (მაგ. ავტორიზებულ გაყიდვების შემდგომი ტექნიკური დახმარების ცენტრს).

ელექტროკაბელი უნდა განლაგდეს ისე, როგორც ნაჩვენებია (სურ 1-3).

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მცველის გამოცვლა მართვის ბლოკში გამოიყენეთ 3.15A სწრაფი მოქმედების მცველი. აკრძალულია დამაგრძელებლების, ადაპტერების და სხვა დამხმარე სადენების გამოყენება სადაც ჩართული იქნება ქვაბის გარდა სხვა მონყობილობებიც.

1.5. დისტანციური მართვა და ოთახის ქრონოთერმოსტატები

ქრონოთერმოსტატებსა ან დისტანციური მართვის მონყობილობებთან ერთად, რომლებიც შეგიძლიათ შეიძინოთ დამატებით (ნახ. 1-5).

ამ შემთხვევაში დისტანციური მართვის ბლოკი უკავშირდება ქვაბს მხოლოდ 2 სადენით. ყურადღებით წაიკითხეთ ექსპლუატაციის და მონტაჟის ინსტრუქცია, რომელიც მოცემულია აქსესუარების კომპლექტში.

- On/Off ციფრული ქრონო-თერმოსტატი. ქრონო თერმოსტატი საშუალებას იძლევა:
 - ოთახის ტემპერატურის ორი მნიშვნელობის

დაყენება: ერთი დღის პერიოდისთვის (კომფორტული ტემპერატურა) და მეორე დღის პერიოდისთვის (უფრო დაბალი ტემპერატურა);

- დააყენოთ კვირის პროგრამა დღეში ოთხჯერ ჩართვითა და გამორთვით;
 - სასურველი ფუნქციონალური რეჟიმის არჩევა სხვადასხვა შესაძლო ვარიანტიდან;
 - მანუალური რეჟიმი (რეგულირებადი ტემპერატურით).
 - ავტომატური რეჟიმი (დაყენებული პროგრამით).
 - იძულებითი ავტომატური რეჟიმი (მომენტალურად ცვლის ავტომატური პროგრამის ტემპერატურას).
- ქრონოთერმოსტატის მუშაობას უზრუნველყოფს ორი 1.5V LR 6 ტიპის ბუთონიანი ელემენტი.

• ციფრული დისტანციური მინი-კონტროლის მონყობილობა კლიმატის ქრონო თერმოსტატი CAR^{v2} წინა პუნქტი აღწერილ ფუნქციებთან ერთად, Mini-CRD და CAR^{v2} პანელები მოხმარებელს საშუალებას აძლევს გააკონტროლონ მონყობილობის ფუნქციონირებისა და ცენტრალური გათბობის სისტემის ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ასევე შეცვალონ ადრე დაყენებული პარამეტრები მონტაჟის ადგილას მისვლის გარეშე. მინი CRD და CAR^{v2} პანელები აღჭურვილია თვით-დიაგნოსტიკის სისტემით, რათა აჩვენოს ქვაბის ნებისმიერი ფუნქციური დარღვევა. დისტანციურ პანელში ჩაშენებული თერმოსტატი, სისტემის ტემპერატურის დარეგულირების საშუალებას იძლევა ფაქტობრივ ტემპერატურიდან გამომდინარე გასათბობ ოთახში, ოთახის სასურველი ტემპერატურის მიღწევის მიზნით მაქსიმალური სიმუსტით და, შესაბამისად, ხარჯების

დაზოგვის მიზნით. მინი CRD და CAR^{v2} უშუალოდ ქვაბიდან იღებს ინფორმაციას მონყობილობებს შორის მონაცემთა გადაცემისათვის გამოყენებული იმავე 2 სადენის საშუალებით.

ციფრული დისტანციური მინი-კონტროლის ან CAR^{v2} ან On / Off ქრონო თერმოსტატის ელექტრო კავშირები (სურვილისამებრ).




ქვემოთ აღწერილი ოპერაციები უნდა შესრულდეს მონყობილობის ძაბვის გამორთვის შემდეგ. ნებისმიერ ოთახში ქრონო-თერმოსტატები ან დისტანციური კონტროლის მონყობილობები უნდა იყოს 40 და 41 ტერმინალურ ბლოკზე შეერთებული, რაც გამორიცხავს X40 jumper-ს (ნახაზი 3-2). დარწმუნდით, რომ On / Off თერმოსტატის კონტაქტი დამოუკიდებელია მაგისტრალური ძაბვისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვაბის პლატა დაზიანდება. ქვაბი დაკავშირებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ დისტანციურ მართვის ბლოკთან

მნიშვნელოვანია: თუ გამოიყენება მინი CRD ან CAR^{v2} დისტანციური კონტროლი, ორი განსხვავებული სადენი განალაგეთ ელექტრომონყობილობის შესახებ არსებული წესების შესაბამისად. არ შეიძლება ბოილერის მილების გამოყენება ელექტროსისტემის ან ტელეფონის ხაზების დამინებისთვის

Comando Amico Remoto დისტანციური მართვა^{v2} ან ჩართვა/გამორთვის ტაიმერის თერმოსტატის ელექტროშეერთებები (დამატებითი). ქვემოთ აღწერილი ოპერაციები უნდა შესრულდეს მონყობილობის ძაბვის გამორთვის შემდეგ. ნებისმიერი თერმოსტატი ან ჩართვა/გამორთვის ქრონოთერმოსტატი უნდა მიუერთდეს 40 და 41 კონტაქტებს წაწერების შესაერთებელ კაბელს X40 (ნახ. 3-2). დარწმუნდით, რომ ჩართვა/გამორთვის თერმოსტატის კონტაქტი „სუფთა“ ტიპისაა, ანუ რომ ის არ არის დამოკიდებული ძირითადი ელექტროკვების წყაროზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონული დარეგულირების ზარათი დაზიანდება. Comando Amico Remoto^{v2} დისტანციური მართვის მონყობილობა უნდა მიუერთდეს 40 და 41 კონტაქტს შესაერთებელ კაბელს X40 სქემის დაფაზე; მიაქციეთ ყურადღება, რომ შეერთებები სწორად შესრულდეს (ნახ.3-2).

მნიშვნელოვანია: თუ დისტანციური დამხმარე მართვა^{v2}, დისტანციური მართვა^{v2} ან ჩართვა/გამორთვის სხვა ქრონოთერმოსტატი გამოიყენება, მაშინ უზრუნველვყავით ორი ცალკე ხაზის შესაბამისობა მოქმედ ნორმებთან ელექტროსისტემებთან დაკავშირებით. არ შეიძლება ბოილერის მილების გამოყენება ელექტროსისტემის ან ტელეფონის ხაზების დამინებისთვის. ბოილერის ელექტროშეერთებების შესრულებამდე, მაქსიმალურად შეამციროთ ეს რისკი.

1.6. გარე მონდი (დამატებით)
ქვაბში გათვალისწინებულია გარე



ტემპერატურულ ზონდთან შეერთების შესაძლებლობა (ნახ. 1-4) , რომელიც ხელმისაწვდომია დამატებითი კომპლექტის სახით.

გარე ზონდი ყოველთვის მოქმედებს დამოუკიდებლად იმისა, გამოყენებულია თუ არა ოთახის თერმოსტატი და რა ტიპისაა ის. სისტემის მიწოდების ტემპერატურისა და გარე ტემპერატურის კორელაცია განისაზღვრება ქვაბის მართვის პანელზე მარეგულირებლის მდებარეობით, დიაგრამაზე (ნახ. 1-5) ნაჩვენები მრუდის შესაბამისად. ქვაბზე გარე ზონდის ელექტრული შეერთება უნდა მოხდეს 38 და 39 კლემებზე. (ნახ. 3-2)

1.7. Immergas-ის საკვამლე მილები

ყურადღება: ქვაბი უნდა დამონტაჟდეს

ორიგინალი იმერგაზის საკვამლე მილით, გარდა C6 კონფიგურაციისა, და არსებული სტანდარტების შესაბამისად.

არ შეიძლება საკვამლე მილების მოთავსება აალებადი საგნების გვერდით. გარდა ამისა, არ შეიძლება მათი დამონტაჟება შენობებში ან კედლებში, რომლებიც დამზადებულია აალებადი მასალისგან.

• **ორმაგი მანუვტიანი შემჭიდროების პრინციპი.** მუხლის შეერთება სწორ მილთან უნდა მოხდეს ნახაზის შესაბამისად (ნახ. 1-6).

• **წინაღობის ფაქტორები და ექვივალენტური სიგრძეები.** სისტემის თითოეულ კომპონენტს გააჩნია წინაღობის ფაქტორი, რომელიც დადგენილია ექვივალენტური ტესტების საფუძველზე და მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. გამტარიანობის ფაქტორი ინდივიდუალური კომპონენტებისათვის დამოუკიდებელია ქვაბის ტიპისგან, რომელზეც იგი დამონტაჟებულია და არ აქვს განზომილებიანი ზომა. თუმცა, ისინი განპირობებულია იმ აირის ტემპერატურით, რომლებიც არსებობს მილებში, და, შესაბამისად, ისინი განსხვავდება იმის და მიხედვით, თუ რისთვის გამოიყენება მილი — ჰაერის გამოშვებისთვის თუ, პირიქით, შეშვებისთვის. თითოეულ ცალკეულ კომპონენტს გააჩნია წინაღობა, რომელიც შეესაბამება იგივე დიამეტრის მილის კონკრეტულ სიგრძეს მეტრებში — ე.წ. ექვივალენტური სიგრძე, რომელიც მიიღება შესაბამისი წინაღობის ფაქტორების შეფარდებით. ყველა ბოილერს გააჩნია ექვივალენტურად დადგენილი მაქსიმალური წინაღობის ფაქტორი, რომელიც უდრის 100-ს. მაქსიმალური დაშვებული წინაღობის ფაქტორი შესაბამისი წინაღობას, რომელიც წარმოიქმნება მაქსიმალური

დაშვებული სიგრძის მქონე მილში თითოეული ტიპის ტერმინალის კომპლექტისთვის. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა მოხდეს გაანგარიშება რათა დადასტურდეს სისტემის დაბრუნების სისწორე.

1.8. მონტაჟი შენობის გარეთ, ნაწილობრივ დაცულ სივცეში

შენიშვნა: ნაწილობრივ დაცული სივცე ნიშნავს ადგილს, სადაც მონყობილობა არ ხვდება ატმოსფერული პირობების უშუალო გემოქმედების ქვეშ (წვიმა, თოვლი, სეტყვა და ა.შ.).

ამ ტიპის მონტაჟი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით სადაც მონყობილობა გამოიყენება.

ამ კონფიგურაციისთვის გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური საკვამლე მილი (შედის ქვაბის კომპლექტში). ამ საკვამლე მილის საშუალებით ხდება ჰაერის შემოსვლა გარედან და გამონაბოლქვის გატყორცვა ასევე გარეთ, ან სპეციალ საკვამურში.

ამ კონფიგურაციით ბოილერი განეკუთვნება B₂ ტიპს.

ამ კონფიგურაციაში:
- ჰაერის შემვება ხდება პირდაპირ გარემოდან, სადაც დამონტაჟებულია ბოილერი, (მხოლოდ მუდმივად ვენტილირებად ოთახში);
- კვამლსადენი უნდა მიუერთდეს ინდივიდუალურ მილს, ან ჰაერის გამოშვება უნდა მოხდეს პირდაპირ გარემოში.

აუცილებელია მოქმედი ტექნიკური ნორმების დაცვა.

საკვამურის გამყოფის რეგულირება. პირდაპირი შენობის კონფიგურაციის მქონე ბოილერის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა საკვამურის საფარის რეგულირება შესაბამისი ცხრილების მიხედვით (ნახ. 1-11).

• **დამცავი ხუფის დაყენება (ნახ. 1-8).** მოხსენით ორი დამცავი და შეუსადებები. დააფარეთ მარჯვენა შენობის ჭრილს შესაფერისი ფირფიტა და დაამაგრეთ მარცხენა მხარეს ორი ხრახნი. დაამაგრეთ Ø 80 გამონაბოლქვი მილტუჩი ქვაბის ცენტრალურ ჭრილზე, მიაქციეთ ყურადღება კომპლექტში ერთად არსებული შუასადების ჩასმას და მოუჭირეთ ორი ხრახნი. დააფარეთ ზედა ხუფი, დააფიქსირეთ 4 ხრახნი, შესაბამისი შუასადებების

გამოყენებით. 90° Ø 80 მუხლის მამალი ბოლო (გლუვი) ბოლომდე ჩასვით Ø 80 მილტუჩის დედალ ყელში (ნაწილობრივი შემჭიდროებით). ჩამოთავით შუასადები, გაატარეთ მუხლის მთელი სიგრძემდე. დაამაგრეთ მეტალის ფურცლის ფირფიტით და მოუჭირეთ ნაკრებთან ერთად მონოდებული მოჭედებით, დარწმუნდით, რომ დაჭერილია შუასადების 4-ვე ენა. ჩასვით გამოსაბოლქვი ტერმინალის მამალი (გლუვი) ბოლო 90° Ø 80 მუხლის დედალ ბოლოში და დარწმუნდით, რომ შესაბამისი კედლის შემჭიდროების ფირფიტა დაყენებულია; ეს უზრუნველყოფს კომპლექტის ელემენტების კონსტრუქციის შეკვრას და საჭირო შემჭიდროვებას.

• **დამაგრებელი მილების შეერთება.** იმისათვის, რომ დაამაგრეთ კლემიანი დამაგრებელი მილები კვამლის გამონაბოლქვი სისტემის სხვა ელემენტებზე, შესაძლებელია შემდეგი მოქმედებები: ბოლომდე ჩასვით მილის ან მუხლის მამალი (გლუვი) ბოლო უკვე დამონტაჟებული ელემენტის დედალ ბოლოში (ნაწილობრივი შემჭიდროებით). ეს უზრუნველყოფს სათანადო შეკვრას და შემჭიდროვებას.

გამონაბოლქვი მილის მაქსიმალური სიგრძე. გამონაბოლქვი მილი (პორიზირებული ან ვერტიკალური) შეიძლება დაგრძელდეს სწორ მონაკვეთად მაქსიმუმ 12 მ სიგრძემდე, თბობილირებული მილების გამოყენებით (ნახ. 1-28). კედლების გაციების შედეგად გამონაბოლქვი აირების Ø 80 მილზე კონდენსირების პრობლემის თავიდან ასარიდებლად, მილის (არაბოილირებული) სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 5მ-ს.

სწორი ვერტიკალური ტერმინალის გამოყენებით დამონტაჟების მაგალითი ნაწილობრივ დაცულ ტერიტორიაზე. თუ წვის პროდუქტების პირდაპირ გამოსაშვებად გამოიყენება ვერტიკალური საკვამლე მამინ მას და მის გემოთ არსებულ აივანს შორის უნდა დატოვოთ, სულ მცირე, 300 მმ სივრცე. A + B სიმაღლე (ყოველთვის გედა აივანის გათვალისწინებით), უნდა იყოს 2000 მმ-ზე მეტი ან ტოლი. (ნახ. 1-10).



• **კონფიგურაცია დამცავი ხუფის გარეშე (C ტიპის ბოილერი).**





შეგიძლიათ არ მოხსნათ გვერდითი დამცავები და დაამონტაჟოთ მონყობილობა გარეთ, ნაწილობრივ დახურულ სივრცეში, დამცავი ხუფის გარეშე. მონტაჟი ხორციელდება Ø60/100 და Ø80/125 კონცენტრული პორიზირებული საკვამლე მილი კომპლექტის გამოყენებით. იხილეთ თავი, სადაც აღწერილია დახურულ შენობაში დამონტაჟება. ამ კონფიგურაციაში დამცავი ხუფის კომპლექტი უზრუნველყოფს ბოილერის დამატებით დაცვას. იგი რეკომენდებულია, მაგრამ არ არის აუცილებელი.

დიაფრაგმის მონტაჟი. ბოილერის სწორი მუშაობისთვის საჭიროა დიაფრაგმის დამონტაჟება შემჭიდროებული ნაკვეთურის გამოსასვლელებში და შემშვები და გამომშვები მილების წინ (ნახ. 1-10). შესაფერისი დიაფრაგმა აირჩევა მილის ტიპის მიხედვით და მისი მაქსიმალური დარგმელების შესაბამისად: ეს შეგიძლიათ გამოთვალოთ შემდეგი ცხრილების გამოყენებით:

შენიშვნა: დიაფრაგმები შედის ბოილერის კომპლექტში.

შემშვები დიაფრაგმის მონტაჟი. ბოილერის სწორი ფუნქციონირებისთვის Ø 80 სივრცის ნაკრებთან და დრენაჟის ზომით ≥ 4; 1 მ, დიაფრაგმა Ø 47 უნდა დამონტაჟდეს შემჭიდროებული ნაკვეთურის შემშვებ ხერხში და შემშვები მილის წინ (ნახ. 1-11).





1-9

მონტაჟის ტიპი (არხის სიგრძე მეტრებში)	დიაფრაგმა			
	Ø 38	Ø 40	Ø 42,5	არ არსებობს
Ø 60/100 ჰორიზონტალური კონცენტრული ნაკრები	ზომა: 0-დან 0,5-მდე	ზომა: 0,5-დან 1,5-მდე	-	ზომა: 1,5-დან 3,0-მდე
Ø 60/100 ვერტიკალური კონცენტრული ნაკრები	ზომა: 0-დან 2,2-მდე	ზომა: 2,2-დან 3,7-მდე	-	ზომა: 3,7-დან 4,7-მდე
Ø 80/125 ჰორიზონტალური კონცენტრული ნაკრები	ზომა: 0-დან 0,5-მდე	ზომა: 0,5-დან 4,6-მდე	-	ზომა: 4,6-დან 7,4-მდე
Ø 80/125 ვერტიკალური კონცენტრული ნაკრები	ზომა: 0-დან 5,4-მდე	ზომა: 5,4-დან 9,5-მდე	-	ზომა: 9,5-დან 12,2-მდე
Ø 80 ვერტიკალური სეპარატორის ნაკრები მუხლების გარეშე	*ზომა: 0-დან 20-მდე	*ზომა: 20-დან 40-მდე	**ზომა: 0-დან 22-მდე	**ზომა: 22-დან 33-მდე
Ø 80 ჰორიზონტალური სეპარატორის ნაკრები ორი მუხლით	*ზომა: 0-დან 16-მდე	*ზომა: 16-დან 35-მდე	**ზომა: 0-დან 17-მდე	**ზომა: 17-დან 28-მდე
პირდაპირი შეშვების ნაკრები და Ø 80 წყალსარინი B ₂₂ კონფიგურაციაში	ზომა: 0-დან 0,5-მდე	-	ზომა: 0,5-დან 15-მდე	-

* მოცემული გაფართოების მაქსიმალური სიდიდეები გათვალისწინებულია 1 მეტრიანი საკვამლე მილით

** მოცემული გაფართოების მაქსიმალური სიდიდეები გათვალისწინებულია 1 მეტრიანისაკვამლე მილით და Ø 47 სქემით შემშვებ ხვრელში.

წინაღობის ფაქტორების და ექვივალენტური სიგრძეების ცხრილები.

გამომშვები სისტემის ტიპი	წინაღობის ფაქტორი (R)	ექვივალენტური სიგრძე მეტრებში (კონცენტრული მილისა) Ø 60/100	ექვივალენტური სიგრძე მეტრებში (კონცენტრული მილისა) Ø 80/125	მილის ექვივალენტური სიგრძე მეტრებში Ø 80
კონცენტრული მილი Ø 60/100 მ 1	შემშვები და გამომშვები 16.5	მ 1	მ 2.8	შემშვები მ 7.1 გამომშვები მ 5.5
კონცენტრული მუხლი 90° Ø 60/100	შემშვები და გამომშვები 21	მ 1.3	მ 3.5	შემშვები მ 9.1 გამომშვები მ 7.0
კონცენტრული მუხლი 45° Ø 60/100	შემშვები და გამომშვები 16.5	მ 1	მ 2.8	შემშვები მ 7.1 გამომშვები მ 5.5
ტერმინალი კონცენტრული ჰორიზონტალური შემშვები-გამომშვები მილით Ø 60/100	შემშვები და გამომშვები 46	მ 2.8	მ 7.6	შემშვები მ 20 გამომშვები მ 15
კონცენტრული ჰორიზონტალური შემშვები-გამომშვები ტერმინალი Ø 60/100	შემშვები და გამომშვები 32	მ 1.9	მ 5.3	შემშვები მ 14 გამომშვები მ 10.6
კონცენტრული ვერტიკალური შემშვები-გამომშვები ტერმინალი Ø 60/100 ₂₅₀	შემშვები და გამომშვები 41.7	მ 2.5	მ 7	შემშვები მ 18 გამომშვები მ 14
კონცენტრული მილი Ø 80/125 მ 1	შემშვები და გამომშვები 6	მ 0.4	მ 1.0	შემშვები მ 2.6 გამომშვები მ 2.0
კონცენტრული მუხლი 90° Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 7.5	მ 0.5	მ 1.3	შემშვები მ 3.3 გამომშვები მ 2.5
კონცენტრული მუხლი 45° Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 6	მ 0.4	მ 1.0	შემშვები მ 2.6 გამომშვები მ 2.0
ტერმინალი კონცენტრული ვერტიკალური შემშვები-გამომშვები მილით Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 33	მ 2.0	მ 5.5	შემშვები მ 14.3 გამომშვები მ 11.0
კონცენტრული ვერტიკალური შემშვები-გამომშვები ტერმინალი Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 26.5	მ 1.6	მ 4.4	შემშვები მ 11.5 გამომშვები მ 8.8
ტერმინალი კონცენტრული ჰორიზონტალური შემშვები-გამომშვები მილით Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 39	მ 2.3	მ 6.5	შემშვები მ 16.9 გამომშვები მ 13
კონცენტრული ჰორიზონტალური შემშვები-გამომშვები ტერმინალი Ø 80/125	შემშვები და გამომშვები 34	მ 2.0	მ 5.6	შემშვები მ 14.8 გამომშვები მ 11.3
კონცენტრული ადაპტერი Ø 60/100-დან Ø 80/125-მდე საკონდენსაციო ქოთნით	შემშვები და გამომშვები 13	მ 0.8	მ 2.2	შემშვები მ 5.6 გამომშვები მ 4.3
კონცენტრული ადაპტერი Ø 60/100-დან Ø 80/125-მდე	შემშვები და გამომშვები 2	მ 0.1	მ 0.3	შემშვები მ 0.8 გამომშვები მ 0.6
მილი Ø 80 მ 1 (იზოლაციით და იზოლაციის გარეშე)	შემშვები მ 2.3 გამომშვები 3	მ 0.1 მ 0.2	მ 0.4 მ 0.5	შემშვები მ 1.0 გამომშვები მ 1.0
ჰაერის შემშვები ტერმინალი Ø 80 მ 1 (იზოლაციით ან იზოლაციის გარეშე)	შემშვები 5	მ 0.3	მ 0.8	შემშვები მ 2.2
შემშვები ტერმინალი Ø 80 გამომშვები ტერმინალი Ø 80	შემშვები 3 გამომშვები 2.5	მ 0.2 მ 0.1	მ 0.5 მ 0.4	შემშვები მ 1.3 გამომშვები მ 0.8
მუხლი 90° Ø 80	შემშვები 5 გამომშვები 6.5	მ 0.3 მ 0.4	მ 0.8 მ 1.1	შემშვები მ 2.2 გამომშვები მ 2.1
მუხლი 45° Ø 80	შემშვები 3 გამომშვები 4	მ 0.2 მ 0.2	მ 0.5 მ 0.6	შემშვები მ 1.3 გამომშვები მ 1.3
დაყოფილი პარალელი Ø 80 Ø 60/100-დან Ø 80/80-მდე	შემშვები და გამომშვები 8.8	მ 0.5	მ 1.5	შემშვები მ 3.8 გამომშვები მ 2.9

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

1.9. დამონტაჟება შენობის შიგნით

C ტიპის კონფიგურაცია, დახურული კამერა და იძულებითი განოვა

ჰორიზონტალური შენოვა - გამობოქვის კომპლექტი Ø 60/100. კომპლექტის აწყობა (ნახ. 1-13): ჩასვით მუხლი მილტუჩით (2) ქვაბის ცენტრალურ ჭრილში შუასადების (1) ჩადებით და დაამაგრეთ კომპლექტში არსებული ხრახნებით. საკვამლე მილის (3) მამალი (გლუვი) ბოლო (6) ჩასვით მუხლის დედალ ყელში (ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) ბოლომდე; დარწმუნდით, რომ კედლის შემჭიდროვების ფირფიტა და კედლის გარე შემამჭიდროვებელი ფირფიტა მორგებულია, ეს უზრუნველყოფს ნაკრების ელემენტების კონსტრუქციის შეკვრას და საჭირო შემჭიდროვებას.

შენიშვნა: თუ ბოილერი დამონტაჟებულია ისეთ სივრცეში, სადაც შესაძლოა ადვილი ჰქონდეს ძალიან დაბალ ტემპერატურებს, შეიძლება სტანდარტული კომპლექტის ნაცვლად დამონტაჟდეს სპეციალური ანტიგაყინვის კომპლექტი.

• დამაგრძელებელი მილების და კონცენტრული მუხლების შეერთება Ø 60/100. იმისათვის, რომ დაამონტაჟოთ კლემიანი დამაგრძელებელი მილები სისტემის სხვა ელემენტებზე, შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები, ჩასვით კონცენტრული მილის ან მუხლის მამალი ბოლო (გლუვი) უკვე დამაგრებული ელემენტის დედალ ყელში (ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) ბოლომდე. ეს უზრუნველყოფს ელემენტების კონსტრუქციის შეკვრას და საჭირო შემჭიდროვებას.

Ø 60/100 ჰორიზონტალური საკვამლე მილის კომპლექტი შეიძლება დამონტაჟდეს უკანა, მარჯვენა, მარცხენა ან წინა გამოსვლით.

• შეერთება უკანა გამოსვლით (ნახ. 1-14). 970 მმ სიგრძის მილი მაქსიმუმ 710 მმ სისქის კედელში გატარების საშუალებას

იძლევა. ჩვეულებრივ, საჭირო ხდება ტერმინალის დამოკლება. გამოთვალეთ მანძილი შემდეგი სიდიდეების შეკრებით: კედლის სისქე + შიდა პროექცია + გარე პროექცია. ნახაზზე მოცემულია პროექციის მინიმალური აუცილებელი სიდიდეები.

• შეერთება გვერდითი გამოსვლით (ნახ. 1-15): ჰორიზონტალური საკვამლე მილის კომპლექტის გამოყენებით, სპეციალური დამაგრძელებლების გარეშე, შესაძლებელია მარცხენა გამოსვლით 724 მმ სისქის კედელში გატარება და მარჯვენა გამოსვლით - 646 მმ კედელში.

• დამაგრძელებლები ჰორიზონტალური კომპლექტისთვის. ჰორიზონტალური Ø 60/100 საკვამლე მილის კომპლექტი შეიძლება დამაგრდეს მაქს. 3000 მმ ჰორიზონტალური მონაკვეთით, გისოსიანი ტერმინალის ჩათვლით, ქვაბიდან გამოსასვლელი კონცენტრული მუხლის გარეშე. ეს კონფიგურაცია შეესაბამება წინააღმდეგობის ფაქტორს, რომელიც უდრის 100-ს. ასეთ შემთხვევებში უნდა მოითხოვოთ სპეციალური დამაგრძელებლები.

• შეერთება №1 დაგრძელებით (ნახ. 1-16). მაქსიმალური მანძილი ქვაბის ვერტიკალურ ღერძსა და გარე კედელს შორის არის 1855 მმ.

• შეერთება №2 დაგრძელებით (ნახ. 1-17). მაქსიმალური მანძილი ქვაბის ვერტიკალურ ღერძსა და გარე კედელს შორის არის 2805 მმ.






ჰორიზონტალური საკვამლე მილის კომპლექტი Ø 80/125. კომპლექტის აწყობა (ნახ. 1-18): ჩასვით მუხლი მილტუჩით (2) ბოილერის ცენტრალურ ჭრილში შუასადების (1) ჩადებით და დაამაგრეთ კომპლექტით არსებული ხრახნებით. ჩასვით გადაწყვანის (3) მამალი ბოლო (გლუვი) მუხლის დედალ ბოლოში (ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) (2)



ბოლომდე. ჩასვით Ø 80/125 (4) კონცენტრული ტერმინალის მამალი (გლუვი) ბოლო გადაწყვანის (3) დედალ ყელში (ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) ბოლომდე; დარწმუნდით, რომ კედლის შემჭიდროვების ფირფიტა და კედლის გარე შემამჭიდროვებელი ფირფიტა მორგებულია, ეს უზრუნველყოფს კომპლექტის ელემენტების კონსტრუქციის შეკვრას და საჭირო შემჭიდროვებას.

• დამაგრძელებელი მილების და კონცენტრული მუხლების შეერთება Ø 80/125. იმისათვის, რომ დაამონტაჟოთ კლემიანი დამაგრძელებელი მილები აირის გამოსაბოქვი სისტემის სხვა ელემენტებზე, შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები, ჩასვით კონცენტრული მილის ან მუხლის მამალი ბოლო (გლუვი) უკვე დამაგრებული ელემენტის დედალ ყელში შემჭიდროვების ფირფიტა დამონტაჟებულა, რაც უზრუნველყოფს ნაკრების ელემენტების სწორ შეერთებას და დამაგრებას.

(ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) ბოლომდე. ეს უზრუნველყოფს ელემენტების კონსტრუქციის შეკვრას და საჭირო შემჭიდროვებას.

ვერტიკალური კომპლექტი ალუმინის კრამიტით Ø 80/125. კომპლექტის აწყობა (ნახ. 1-20): ჩასვით კონცენტრული მილტუჩი (2) ქვაბის ცენტრალურ ჭრილში შუასადების (1) ჩადებით და დაამაგრეთ კომპლექტში არსებული ხრახნებით. ჩასვით გადაწყვანის (3) მამალი (გლუვი) ბოლო კონცენტრული მილტუჩის (2) დედალ ყელში. საიმითაციო ალუმინის კრამიტის დამაგრება. შეცვალეთ კრამიტზე ალუმინის ფურცელი (5), მიეცით შესაბამისი ფორმა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წვიმისგან დაცვა. დააყენეთ უძრავი ნახევარფარი (7) და ჩასვით საკვამლე მილი (6). კონცენტრული ტერმინალი მილის Ø 80/125 მამალი (გლუვი) ბოლო (6) ჩასვით გადაწყვანის (3) დედალ ყელში (ნაწიბურიანი შემჭიდროვებით) ბოლომდე; დარწმუნდით, რომ კედლის შემჭიდროვების ფირფიტა ჩადებულია, რაც უზრუნველყოფს





კომპლექტის ელემენტების სწორ შერთებას და დამაგრებას.

• დამაგრებელი მილების და კონცენტრული მუხლების შერთება. იმისათვის, რომ დაამაგროთ კლემიანი დამაგრებელი მილები გამონაბოლქვი აირის სისტემის სხვა ელემენტებზე, შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები, ჩასვით კონცენტრული მილის ან მუხლის მამალი ბოლო (გლუვი) უკვე დამაგრებული ელემენტის დედალ ყელში (ნანიბურიანი შეჭიდროებით) ბოლომდე. ეს უზრუნველყოფს ელემენტების სწორ შერთებას და შეჭიდროებას.

მნიშვნელოვანია: თუ საჭიროა გამონაბოლქვი ტერმინალის და/ან დამაგრებელი კონცენტრული მილის დამოკლება, გაითვალისწინეთ, რომ შიდა მილი ყოველთვის გარე მილზე 5 მმ-ით გრძელი უნდა იყოს.

ეს კონკრეტული ტერმინალი უზრუნველყოფს ნამწვი აირების გამოტანას და წვისთვის საჭირო ჰაერის შენოვას ვერტიკალური მიმართულებით.

შენიშვნა: Ø 80/125 ვერტიკალური კომპლექტი ალუმინის კრამიტით შეიძლება დამონტაჟდეს მაქსიმუმ 45° (25°) დახრილობის მქონე ტერასებზე და სახურავებზე; ამასთან, ყოველთვის დაცული უნდა იყოს სიმაღლე ტერმინალის სუფსა და ნახევარფარს შორის (374 მმ).

